



საქართველო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება

N 1609
20/08/2019

1609-02-4-201908201811



საქართველო ქალაქი ამბროლაური
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ჭრებალოს ადმინისტრაციული
ერთეულში შემავალ სოფელ ჭრებალოსა და ჭყვიშის ადმინისტრაციული ერთეულში
შემავალ სოფელ ჭყვიშის მოსახლეობასთან დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის
შეცვლის თაობაზე წინადადების განხილვის მიზნით დასახლების საერთო კრებების და
ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 85³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85⁴ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის თაობაზე წინადადების განხილვის მიზნით ჭრებალოს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ჭრებალოსა და ჭყვიშის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ჭყვიშის დასახლებებში მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები.
2. ჭრებალოს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ჭრებალოს დასახლებაში საერთო კრება გაიმართოს 2019 წლის 22 აგვისტოს დღის 14 საათზე ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში.
3. ჭყვიშის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ჭყვიშის დასახლებაში საერთო კრება გაიმართოს 2019 წლის 22 აგვისტოს დღის 15 საათზე ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში.
4. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის თაობაზე წინადადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

5. ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის თაობაზე წინადადების განხილვის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საერთო კრების ჩატარებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:
 - ა) **კახაბერ ნეფარიძე** - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი, მობილურის N 551 208 208 , ელ.ფოსტა: neparidze.k.66@gmail.com
 - ბ) **ბაქარი ბაკურაძე** - მერის წარმომადგენელი ქალაქ ამბროლაურის ადმინისტრაციულ ერთეულში.
 - ბ) **ზინაიდა ჯინჭარაძე** - მერის წარმომადგენელი ჭყვიშის ადმინისტრაციულ ერთეულში.
 - გ) **შალვა სალუქვაძე** - მერის წარმომადგენელი ჭრებალოს ადმინისტრაციულ ერთეულში.
6. საერთო კრების მდივნად და ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:
 - ა) **გიორგი ცხვედიანი** - ჭყვიშის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.
 - ბ) **ნატალია ნემსწვერიძე** - ჭრებალოს ადმინისტრაციულ ერთეულში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.
7. მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. №13)
9. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერიდან.

ზვიადი მხეიძე



მუნიციპალიტეტის მერი
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია